



## თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური და  
წარმომადგენლობითი სენატის 2018 წლის  
22 იანვრის #77 დადგენილებით

### სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

#### შესავალი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში: უნივერსიტეტი/თოუ) უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, მოწოდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო, ჯანსაღი, სტუდენტზე ორიენტირებული გარემო და საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად უზრუნველყოს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

უნივერსიტეტი პატივს სცემს ყველა სტუდენტის ღირსებას, უფლებებსა და თავისუფლებას და თავის მხრივ ყოველი სტუდენტისგან, შიდა საუნივერსიტეტო თანამეგობრობის ფარგლებში, მოითხოვს საუნივერსიტეტო საზოგადოების - აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სხვა სტუდენტების ღირსებისა და უფლებების პატივისცემას.

წინამდებარე წესი მიზნად ისახავს შემდეგი ღირებულებების დამკვიდრებას და დაცვას უნივერსიტეტში:

- ✓ გამოხატვის თავისუფლება;
- ✓ დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- ✓ კონფიდენციალურობა;
- ✓ თანასწორობა;
- ✓ აკადემიური თავისუფლება;
- ✓ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა;
- ✓ პირადი პასუხისმგებლობა და თანაბარი ანგარიშვალდებულება;
- ✓ სამართლიანი პროცესის უფლება.

ყველა ის პირი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის პროგრამის გასავლელად, უფლებამოსილია ისარგებლოს სტუდენტის სტატუსით.

უნივერსიტეტი აკმაყოფილებს ყველა იმ კრიტერიუმს, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას, კერძოდ:

- ✓ თანამედროვე და მაღალი სტანდარტის მქონე სასწავლო პროგრამები;
- ✓ მაღალკვალიფიციური პერსონალი;
- ✓ გამართული სასწავლო პროცესი;
- ✓ განვითარებული და კომფორტული ინფრასტრუქტურა;
- ✓ საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ეზიაროს უცხოელი სპეციალისტების გამოცდილებას, როგორც ღია სასწავლო უნივერსიტეტში, ასევე, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
- ✓ სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების პერსპექტივის შექმნა.

## თავი I.

### 1. უნივერსიტეტის ამოცანები და ვალდებულებები

**1.1** უნივერსიტეტის ამოცანები და ვალდებულებები ჩამოყალიბებულია უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ აქტებში და არის:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურება;

ბ) საუნივერსიტეტო აქტივობების განხორციელებისათვის სტუდენტთა მხარდაჭერა, ამ მიზნით სხვადასხვა სოციალური პროექტების მომზადება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა;

გ) უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული საქმიანობის პოპულარიზაცია ორგანიზება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური/სამეცნიერო/შემეცნიებითი ხასიათის და საქველმოქმედო სახის შემოქმედებითი სტუდენტური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება);

დ) საუნივერსიტეტო სპორტული გუნდების და შემოქმედებითი ჯგუფების შექმნის შესახებ სტუდენტთა ინიციატივების წარმოდგენა, მათი რეალიზაციისათვის ხელშეწყობა და საქმიანობის კოორდინაცია;

ე) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, უნივერსიტეტის სახელით რეგიონალურ რესპუბლიკურ უნივერსიადებში და სტუდენტურ დღეებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა;

ვ) უნივერსიტეტის სტუდენტების განვითარება სახელოვნებო სივრცეში მათი მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება და უნივერსიტეტის სტუდენტების შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმავზე ზრუნვა, მათი ნიჭისა და სურვილის შესაბამისად;

ზ) საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაცნობა;

თ) სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, მათი ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე,

სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა მათი სასწავლო პროცესთან დაახლოებისა და სამომავლოდ, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

ი) სტუდენტების დახმარება საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში;

კ) შრომის ბაზრისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან (სახელმწიფო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;

ლ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების მხარდაჭერა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათი ინტეგრაციის მიზნით და შესაბამისი წინადადებების უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენა.

## **1.2 სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით უნივერსიტეტი ვალდებულია:**

ა) სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ არ გაამჟღავნოს, გარდა იმ შემთხვევისა თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

ბ) ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ ინახება განცალკევებულად (პირად საქმეში/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში). სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას თოუ-ს ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

გ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უზრუნველყოს სრულფასოვანი განათლების მისაღებად აუცილებელ ყველა პირობა, რომლითაც სსსმ/შშმ პირს საშუალება მიეცემა შეუზღუდავად გადაადგილდეს შენობაში და მიიღოს მის შესაძლებლობებს მორგებული ხარისხიანი განათლება.

დ) სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით (თოუ-ს უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრი) სტუდენტებს გაუწიოს კონსულტაციები დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, დაეხმაროდს მათ სამუშაოს მიზნისა და მოლოდინების სწორად დასახვაში, მათთვის ინტერვიუს უნარების განვითარებასა და სამუშაოს ძიების სტრატეგიების გაცნობაში და სხვა.

## **თავი II.**

### **2. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები**

2.1. უნივერსიტეტის სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-44-ე

მუხლებით, თოუ-ს შინაგანაწესით, სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი შიდა წესებით და ეთიკის კოდექსით.

## **2.2 სტუდენტის უფლებები:**

ა) სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე, მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

ბ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და თოუ-ს მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეიწყვიტოს ან შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი, ისარგებლოს მობილობით/შიდა მობილობით;

დ) საყოველთაოდ, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში;

ე) მიიღოს კონსულტაცია თოუ-ს უფლებამოსილი პირისგან საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე;

ვ) მოითხოვოს ცოდნის ობიექტური/ სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს გამოცდების შედეგები;

ზ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

თ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ი) საქართველოს კანონმდებლობის, თოუ-ს წესდებისა და თოუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად სახელმწიფოსგან და თოუ-სგან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

კ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

ლ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

მ) განახორციელოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

## **2.2 სტუდენტის ვალდებულებები.**

სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და ამ მიზნით, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია.

ბ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა;

გ) დადგენილ ვადაში გადაიხადოს სწავლის საფასური;

დ) სისტემატურად ისარგებლოს „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამით“, რომლის საშუალებითაც მიეწოდება მას უნივერსიტეტისაგან გაგზავნილი შეტყობინებები ან/და ინფორმაცია შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის თაობაზე;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ეტაპობრივად თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე([www.openuni.edu.ge](http://www.openuni.edu.ge));

ვ) ჯეროვნად შეასრულოს უნივერსიტეტის აქტებით, მოქმედი კანონმდებლობითა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები.

### **თავი III.**

#### **3. სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმები**

**3.1** თოუ სტუდენტებისათვის თავისი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის, გარემოში მარტივად ადაპტაციისა და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული რესურსით სრულად სარგებლობის მიზნით სთავაზობს შემდეგს:

3.1.1 პირველკურსელ სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრები, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

ა) თოუ-ს მისიის მიზნების, ამოცანების და სტრატეგიის გაცნობა;

ბ) სტუდენტების უფლება-მოვალეობების გაცნობა;

გ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების ძირითადი დებულებების გაცნობა და ინფორმირება მათი ხელმისაწვდომობის შესახებ;

დ) სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიებების (მაგ: სტიპენდია, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკი და სხვა) შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ე) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით სარგებლობის წესების გაცნობა;

ვ) კარიერული მხარდაჭერისა და საკონსულტაციო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ზ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თოუ-ს ვებგვერდი წარმოადგენს ოფიციალური ინფორმაციის გავრცელების საშუალებას/წყაროს;

3.2 სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, თოუ-ში შექმნილია საჩივრის/პრეტენზიის წარდგენის ფორმა, რომელიც შესაძლოა ეხებოდეს პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის, კოლეგიური და მართვის ორგანოების და სტუდენტური გაერთიანებების საქმიანობას.

3.2.2 საჩივრის/პრეტენზიის წარდგენა ხდება წერილობითი ფორმით.

3.2.3 საჩივარი/ პრეტენზია არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა განსახილველად წარედგინება ეთიკის კომიტეტს, რომელიც საჩივრის/პრეტენზიის განხილვიდან არაუმეტეს ხუთი სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას.

3.2.4 განხილვის პროცესში ჩართულ(ებ)ი არიან საჩივრის/პრეტენზიის ადრესატ(ებ)ი.

3.2.5 მიღებული გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში წერილობითი სახით ეცნობება საჩივრის/პრეტენციის ავტორს.

3.2.6 იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის/პრეტენზიის განმხილველი თანამდებობის პირი/ორგანო მიიჩნევს, რომ საკითხის შესახებ უნდა დაინყოს დისციპლინური წარმოება, ყველა შესაბამისი დოკუმენტი გადაეცემა დისციპლინარულ საბჭოს განსახილველად. დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება თოუ-ს ეთიკის კოდექსით.

3.2.7 მხარე უფლებამოსილია მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3. თოუ-ში მოქმედებს გამოცდის შედეგის/მიმდინარე შეფასების გასაჩივრების მექანიზმები. გამოცდის შედეგის გასაჩივრებასთან დაკავშირებული პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის „გამოცდების ჩატარების დებულებით“.

3.4. უნივერსიტეტი სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით ახორციელებს კმაყოფილების კვლევას, იხ. დანართი N1.

## **თავი IV.**

### **4. სტუდენტური თვითმმართველობა**

4.1 სტუდენტური თვითმმართველობა არის ამავე უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მოთხოვნათა დაცვის შესაბამისად. თვითმმართველობის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და საქართველოს სტუდენტთა უფლებების დეკლარაციას.

4.2 სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა ხორციელდება უნივერსიტეტის სტუდენტთა „თვითმმართველობის დებულების“ შესაბამისად.

4.3 სტუდენტური თვითმმართველობა არის უნივერსიტეტის შემადგენლობაში შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის სისტემა, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს მის უფლებამოსილებას, როგორც უნივერსიტეტის

შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

**სტუდენტური თვითმმართველობის ამოცანები და მიზნებია:**

ა) დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტის სამართლებრივი დაცვა არასაუნივერსიტეტო ურთიერთობებშიც;

ბ) ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვას;

გ) დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის დახვეწასა და ეტაპობრივ განვითარებაში;

**სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი მიმართულებებია:**

ა) განათლება და მეცნიერება;

ბ) სპორტი;

გ) ტურიზმი;

დ) სტუდენტების უფლებების დაცვა;

ე) კულტურა;

ვ) თავისუფალ პროექტებზე მუშაობა.

**თავი V.**

**5. სტუდენტთა სტაჟირება:**

5.1 უნივერსიტეტის სტუდენტს საშუალება აქვს გაიაროს სტაჟირება „სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში და ასევე, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში.

5.2 სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სტაჟირების გავლის წესი და პირობები განსაზღვრულია „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილებით. „სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სტაჟირების გასავლელად სტუდენტი აღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა დარეგისტრირდეს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე ([stajireba.gov.ge](http://stajireba.gov.ge)), პირველი, შემოდგომის ნაკადის მიღება ხდება - ოქტომბერში, ხოლო მეორე, გაზაფხულის ნაკადის - აპრილში.

5.3 უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში სტაჟირების გავლას არეგულირების თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში „სტაჟირების გავლის წესი“. სტაჟირების გამოცხადების შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ უნივერსიტეტის ვებ გვერდის მეშვეობით.

## თავი VI

### 6. დისციპლინური წარმოების განხორციელების წესი

6.1 დისციპლინური წარმოების განხორციელება ხდება თოუ-ს ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად.

6.2 დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

ა) თოუ-სგან მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი უფლებები დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით;

გ) მიაწოდოს თოუ-ს დისციპლინურ საბჭოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს თოუ-ს დისციპლინური საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს მის მიმართ ადმინისტრაციული წარმოების საკითხის საჯარო სხდომაზე განხილვა;

ვ) სასამართლოში გაასაჩივროს თოუ-ს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

6.3 დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამის მტკიცებულებას. ყველა მტკიცებულების გამოკვლევა ხდება დისციპლინური საბჭოს მიერ.

6.4 სტუდენტის წახალისება. სტუდენტის წახალისების სახეებია:

- ✓ **მადლობის გამოცხადება;**
- ✓ **ფულადი პრემიის გაცემა;**
- ✓ **ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება.**

უნივერსიტეტის რექტორი/მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად წყვეტს წახალისების ზომების გამოყენების საკითხს შესაბამისი სკოლის წარდგინების საფუძველზე.



## დანართი N1.



### თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტთა ინტერესების დაცვის კითხვარი

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ და გულწრფელი პასუხი გასცეთ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს. თქვენი მოსაზრებები თქვენივე უფლებების დაცვის მიზნით ძალზედ მნიშვნელოვანია.

პასუხის გაცემისას, 9 ბალიანი სკალა ასახავს თქვენ მოსაზრებას სუსტად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულებიდან (მინიმალური 1 ქულა) ძლიერად გამოხატულ დადებით დამოკიდებულებამდე (მაქსიმალური 9 ქულა).

#	ინდიკატორები	შეფასება								
1	განგემართათ თუ არა უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეკრულების შინაარსი (თქვენი უფლებები და მოვალეობები)	1	2	3	4	5	6	7	8	9
2	უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება იცავს თუ არა თქვენ ინტერესებს?	1	2	3	4	5	6	7	8	9
3	დაცულია თუ არა უნივერსიტეტში თქვენი ინტერესები?	1	2	3	4	5	6	7	8	9

4	გქონდათ თუ არა საჩივარი ადმინისტრაციის ან პროგრამის განმახორციელებლების მიმართ? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ რამდენად დროულად და ეფექტურად მოახდინა უნივერსიტეტმა რეაგირება	1	2	3	4	5	6	7	8	9
5	დრულია თუ არა უნივერსიტეტის ქმედება სტუდენტთა უფლებების და ინტერესების დაცვის საკითხთან მიმართებაში	1	2	3	4	5	6	7	8	9

დამატებითი მოსაზრებები:

**მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!**